ტრანზიციის საკითხი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებთან

ხვიჩა პოსოშვილი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხვიჩა პოსოშვილი

05.06.2024

აბსტრაქტი

სადიპლომო ნაშრომის მიზანია განვითარების ეტაპების დაყოვნების, ან ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვების ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესის შესწავლა, თუ რა სირთულეების და გამოწვევების წინაშე დგანან ბავშვები და შესაბამისად, მშობლები. ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა თვისებრივი კვლევა. ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ 2 მშობელთან, 3 პედაგოგთან, 2 სოციალურ მუშაკთან და ასევე ჩატარდა ერთი ფოკუს ჯგუფი 10 ადრეული ინტერვენციის სპეციალისტთან. სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 17- მა რესპონდენტმა. კვლევის განხორციელების არეალი არის შიდა ქართლი, კერძოდ გორის მუნიციპალიტეტი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ის რეალური სირთულეები და გამოწვევები, რაც განვითარების ეტაპების, ან ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვებს და მშობლებს ექმნებათ ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესში. გამოიკვეთა, რომ ბავშვებს უჭირთ სკოლაში ადაპტაცია, აქვთ დასწავლის სირთულეები, მშობლებში არის ინფორმირებულობის დაბალი დონე, ასევე გამოიკვეთა სკოლებში და ბაღებში თანაშრომლების დაბალი კვალიფიკაცია და საჭირო სპეციალისტების ნაკლებობა, ყველაზე თვალსაჩინო იყო ბავშვის დაგვიანებული დიაგნოსტირების და გადამისამართების სირთულეები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ტრანზიციის პროცესზე. გარდა ამისა, გამოიკვეთა უწყებათა შორის არაკოორდინირებული მუშაობის პრობლემა. ნაშრომის ფარგლებში მიმოხილულია ადგილობრივი და საერთაშორისო ლიტერატურა და შესაბამისად, ის გამოცდილება, რაც უკავშირდება ბავშვის სკოლიდან ბაღში ტრანზიციის პროცესში ადრეული ინტრევენციის როლის გამოკვეთას. ნაშრომში მოცემულია ის კონკრეტული რეკომენდაციები, რაც უფრო ეფექტურს და უმტკივნეულოს გახდის ბავშვის სკოლიდან ბაღში ტრანზიციის პროცესს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სკოლა, ბაღი, ოჯახი, ბავშვი, მშობელი, ტრანზიცია, ინტერვენცია.

Abstract

The aim of this Diploma Thesis is to study the process of transition from kindergarten to school for children with developmental delays or those at risk of such delays. It examines the difficulties and challenges faced by these children and their parents. Qualitative research was conducted within the framework of the work. In-depth interviews were conducted with 2 parents, 3 teachers, and 2 social workers. Additionally, one focus group with 10 early intervention specialists was conducted. In total, 17 respondents participated in the study. The research was carried out in Shida Kartli, specifically in the Gori municipality.

As a result of the research, the actual difficulties and challenges faced by children with developmental delays or those at risk, as well as their parents, during the transition from kindergarten to school have been revealed. It was found that children struggle with adapting to school and experience learning difficulties. Additionally, there is a low level of awareness among parents. The research also highlighted the low qualifications of co-workers in schools and kindergartens, and the lack of necessary specialists. The difficulties of late diagnosis and referral of the child were most significantly revealed, which negatively impacts the transition process. Furthermore, the issue of uncoordinated efforts between agencies was identified.

Within the framework of this thesis, local and international literature, along with relevant experiences related to the role of early intervention and the transition process of a child from kindergarten to school, are reviewed. The article contains specific recommendations designed to make this transition process more effective and less stressful for the child.

Main search words: school, kindergarten, family, child, parent, transition, intervention.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ლექტორს, ჩემი სამაგისტრო ნაშრომის აკადემიურ ხელმძღვანელს, პროფესორს ქალბატონ შორენა სამაგლიშვილს. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის.